

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

თბილისი 2022

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	11
5. ამონაგები.....	20
6. სხვა შემოსავალი	20
7. სხვა ხარჯები.....	20
8. ფინანსური ხარჯები.....	20
9. ძირითადი საშუალებები	21
10. მარაგები	22
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
12. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	24
13. მიღებულის სესხები.....	24
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
15. საგადასახადო ვალდებულებები	24
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
17. პირობითი ვალდებულებები.....	25
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	25

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს “ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის“ (შემდგომში „კომპანია“ ან „კლინიკა“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს “ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის“ თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, 2021 და 2020 წლების განმავლობაში აღიარებულ ამონაგებზე 22,985,764 და 19,640,338 ლარის ოდენობით, შესაბამისად. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის მაისში და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021, 2020 წლის 31 დეკემბრისათვის და 2020 წლის 1 იანვრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 488,859, 582,479 და 383,747 ღირებულებებით, შესაბამისად.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის მაისში და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021, 2020 წლის 31 დეკემბრისათვის და 2020 წლის 1 იანვრისათვის არსებული ძირითადი საშუალებების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 8,903,666, 8,436,780 და 7,593,843 ღირებულებებით, შესაბამისად.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტური 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 6,151,940, 4,406,227 და 6,446,328 ლარის ღირებულების სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტური 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 4,629,758, 4,347,618 და 4,900,252 ლარის ღირებულების სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ბრაზერსის“ სახელით (რეგ. SARAS-F-116982)

გელა ბერაძე (რეგ. SARAS-A-699523)

თბილისი, საქართველო

3 ოქტომბერი, 2022 წელი

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

შპს „ბრაზერის“ სახელით (რეგ. SARAS-F-116982)

გელა ბერაძე (რეგ. SARAS-A-699523)

თბილისი, საქართველო

3 ოქტომბერი, 2022 წელი



შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 მომზადებულია ქართულ ლარში

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	22,985,764	19,640,338
სხვა შემოსავლები	6	1,431,159	327,491
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(6,468,246)	(5,109,079)
პერსონალის ხარჯები		(11,775,843)	(10,279,912)
ცვეთა და ამორტიზაცია		(657,967)	(656,631)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება		(887,022)	(348,496)
სხვა ხარჯები	7	(2,873,265)	(2,179,926)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან		1,111,658	(1,879,889)
ფინანსური ხარჯი	8	(526,896)	(491,616)
წმინდა მოგება/(ზარალი)		2,339,342	(977,720)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მაია მახარაშვილი
 გენერალური დირექტორი

ნინო შაუთიძე
 ფინანსური დირექტორი

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 მომზადებულია ქართულ ლარში

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	22,985,764	19,640,338
სხვა შემოსავლები	6	1,431,159	327,491
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(6,468,246)	(5,109,079)
პერსონალის ხარჯები		(11,775,843)	(10,279,912)
ცვეთა და ამორტიზაცია		(657,967)	(656,631)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება		(887,022)	(348,496)
სხვა ხარჯები	7	(2,873,265)	(2,179,926)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		1,111,658	(1,879,889)
ფინანსური ხარჯი	8	(526,896)	(491,616)
წმინდა მოგება/(ზარალი)		<u>2,339,342</u>	<u>(977,720)</u>

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მ. შაყაძე
 მაია მახარაშვილი
 გენერალური დირექტორი



ნ. ჯაყიძე
 ნინო შაუთიძე
 ფინანსური დირექტორი



შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 მომზადებულია ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	8,903,666	8,436,780	7,593,843
საინვესტიციო ქონება		63,868	65,072	66,276
არამატერიალური აქტივები		498	498	1,471
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,968,032	8,502,350	7,661,590
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	10	488,859	582,479	383,747
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	5,918,822	4,406,227	6,446,328
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	206,219	119,792	112,503
სულ მიმდინარე აქტივები		6,613,900	5,108,498	6,942,578
სულ აქტივები		15,581,932	13,610,848	14,604,168
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,976,416	(47,137)	1,562,162
სულ საკუთარი კაპიტალი		1,976,416	(47,137)	1,562,162
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	13	7,315,714	8,054,991	6,905,240
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,315,714	8,054,991	6,905,240
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	4,629,758	4,347,618	4,900,252
მოკლევადიანი სესხები	13	1,309,188	1,190,460	844,202
საგადასახადო ვალდებულებები		350,856	64,916	392,312
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,289,802	5,602,994	6,136,766
სულ ვალდებულებები		13,605,516	13,657,985	13,042,006
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		15,581,932	13,610,848	14,604,168

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა
 ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 მომზადებულია ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 1 იანვარი	1,562,162	1,562,162
დივიდენდი	(631,579)	(631,579)
წმინდა მოგება/(ზარალი)	(977,720)	(977,720)
2020 წლის 31 დეკემბერი	(47,137)	(47,137)
დივიდენდი	(315,789)	(315,789)
წმინდა მოგება/(ზარალი)	2,339,342	2,339,342
2021 წლის 31 დეკემბერი	1,976,416	1,976,416

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა მოგება	2,339,342	(977,720)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	657,967	656,631
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	887,022	348,496
წმინდა ფინანსური ხარჯი	158,390	-
	(1,111,658)	1,879,889
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,457,959	2,398,912
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(2,399,615)	1,706,142
მარაგები	93,620	(198,732)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(338,451)	(1,730,824)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	285,939	(327,397)
სხვა გასაღები	-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1,099,452	1,848,101
გადახდილი პროცენტები	(526,896)	(491,616)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	572,556	1,356,485
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(661,449)	(319,201)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(661,449)	(319,201)
სასესხო ვალდებულების ზრდა	2,582,663	11,135,312
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(2,100,878)	(11,469,783)
გადახდილი დივიდენდები	(315,789)	(631,579)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	165,996	(966,050)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა /კლება	77,103	71,234
საწყისი ბალანსი	119,792	112,503
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	9,324	(63,945)
საბოლოო ბალანსი	206,219	119,792

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა“ (შემდგომში „კომპანია“ (ს/ნ/404866123)) დაარსდა 2010 წელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. კერძოდ: გადაუდებელი სამედიცინო დახმარება; ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; ნევროლოგია; ინტერვენციული კარდიოლოგია; ოტორინოლარინგოლოგია; ნეიროქირურგია; ზოგადი ქირურგია; ტრავმატოლოგია და ორთოპედია; ყბა-სახის ქირურგია; ანესთეზიოლოგია და რეანიმაცია; ჰემატოლოგია და ტრანსფუზიოლოგია; რადიოლოგია; კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია; ძუძუსა და ენდოკრინული ქირურგია; თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგია.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №29-31-33.

2019, 2020, 2021 წლების განმავლობაში კომპანიის 100%-იანი წილის მგლობელია ფიზიკური პირი გოჩა ჯამარაული (პ/ნ/01006001271)

2. მომზადების საფუძველი

ა) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ბ) ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა არ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, როგორც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ისე კომენდანტის საათის განმავლობაში, თუმცა ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

დ) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 4) გამოყენებისას, ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია:

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ქმნის საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი. ლარში წარმოდგენილი ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა შეტანილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

2021, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3.2095

ამონაგების აღიარება

სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვევო კომპანიებისგან, სახელმწიფოსგან, ფიზიკური პირებისგან და სხვა კორპორატიული დებიტორებისგან მიღებულ შემოსავალს.

სადაზღვევო კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებისგან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებისგან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებისგან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით ან ელექტრონული ბარათებით.

კორპორატიული დებიტორები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს კორპორატიული დებიტორებისგან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

ხარჯები

კომპანიაში ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ხარჯების კლასიფიკაცია ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

სარეკლამო ხარჯი - მოიცავს გაყიდვებთან, პრომოუშენთან და მარკეტინგთან დაკავშირებულ ყველა აქტივობას (გარდა მარკეტინგული კვლევისა და ბაზრის ანალიზისა). უფრო კონკრეტულად, ამ ანგარიშებზე ნაწილდება:

- შიდა და გარე რესურსებით ჩატარებული მარკეტინგული და საპრომოციო აქტივობები;
- მარკეტინგისა და სარეკლამო მასალების ხარჯი;
- Facebook საპრომოციო გვერდის ხარჯი;
- სხვა გაყიდვებთან და პრომოუშენთან დაკავშირებული ხარჯები.

დაქირავებულ პირთა ხელფასებისა და გასამჯრელოების ხარჯი - ასახულია ყველა ხელფასი, ძირითადი ხელფასები და ხელფასები ხელშეკრულებებით. მარაგების შესყიდვის ხარჯი - გამოყენებული მარაგების რაოდენობა.

ფინანსური ხარჯი - ფინანსურ ხარჯად ძირითადად კლასიფიცირებულია საპროცენტო ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა სასესხო ვალდებულებებიდან.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება ფიფო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა კლასისათვის. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია გამოყენების განსხვავებული პირობები, მაშინ ასეთი აქტივები აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების კლასების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

მიწა	არ ხდება ცვეთის დარიცხვა
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ხდება ცვეთის დარიცხვა
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	15
სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	5 - 20
ოფისის აღჭურვილობა	5 - 10
ასფალტი	15

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. კომპანია საინვესტიციო ქონების აღრიცხვისთვის იყენებს თვითღირებულების მოდელს და აღრიცხავს მის ფასს სტანდარტის მე-17 განყოფილების მიხედვით. არ არსებობს საფუძველი იმის მტკიცებისთვის, რომ საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება და საბალანსო ღირებულებები განსხვავებულია, შესაბამისად, კომპანიისთვის საინვესტიციო ქონების მე-16 განყოფილებით აღრიცხვა მიზანშეუწონელ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვას კომპანია იწყებს მას შემდეგ, რაც აღნიშნული ქონება მზად არის იმ მიზნით გამოსაყენებლად, როგორც ეს თავდაპირველად ჰქონდა ხელმძღვანელობას განსაზღვრული. ცვეთა ერიცხება მთლიანად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებულია ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯში. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 40 წლით.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივებისთვის გამოიყენება ამორტიზაციის წრფივი მეთოდი.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში.

გაუფასურების ზარალის ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში, მათი გაწევის შემთხვევაში.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი (საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას) მოვლენა. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით.

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება.

იმ მიზნით, რომ ყოველი წლის ბოლოს კომპანიამ შეძლოს მოთხოვნების სწორი ანალიზი და შექმნას ხანდაზმული მოთხოვნების რეზერვი, კომპანია ატარებს გაუფასურების ანალიზს. გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას თუ რამდენად მიიღებს გარკვეული კლიენტისგან დავალიანებულ თანხას.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლების ვადა ამოიწურება ან როდესაც ფინანსურ აქტივსა და მის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხები თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც კომპანიის მოვალეობები შესრულებულია, გაუქმებულია ან ვადაგასულია. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ კომპენსაციას შორის სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

იჯარა

ფინანსური იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს ფინანსურ იჯარად, თუ შეთანხმება ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია როგორც მოიჯარე -

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდება როგორც ძირითადი საშუალება. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან შეთანხმების თანახმად საკუთრების უფლება გადმოეცემა კომპანიას. ფინანსური იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ყოველთვიურად.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ შეთანხმება არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანიას საოპერაციო იჯარით გაცემული აქვს მთავარი შენობის ძალზედ მცირე ნაწილი და მიწის ასევე მცირე ნაწილი. ფართობის უმნიშვნელობის გამო საოპერაციო იჯარით გაცემული ნაწილი არ არის გამოყოფილი მთლიანი აქტივიდან და კლასიფიცირებულია ძირითად საშუალებად. გარდა ამისა, კომპანიას საოპერაციო იჯარით აქვს გაცემული 30 კვ.მ ფართობის შენობა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კლასიფიცირებულია საინვესტიციო ქონებად.

კომპანია როგორც მეიჯარე -

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარე იყენებს 27-ე განყოფილების მოთხოვნებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. თუმცა ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

5. ამონაგები

ამონაგები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, რომელიც მიღებულია სამედიცინო მომსახურებიდან, დამკვეთების მიხედვით წარმოდგენილია მომდევნო ცხრილის სახით.

	2021	2020
სახელმწიფო დაწესებულებები	14,230,204	11,660,610
ფიზიკური პირები	7,159,700	6,661,042
კერძო სადაზღვევო კომპანიები	1,592,907	1,309,318
სხვა	2,953	9,367
სულ	22,985,764	19,640,338

6. სხვა შემოსავალი

	2021	2020
სამედიცინო კვლევები	136,677	225,712
იჯარიდან მიღებული შემოსავლები	67,836	64,600
კომპენსაციის გარეშე მიღებული მედიკამენტები	1,226,646	37,179
სულ	1,431,159	327,491

7. სხვა ხარჯები

	2021	2020
კოვიდ 19-ის სამკურნალო მედიკამენტები	1,210,758	-
კომუნალური ხარჯი	643,942	421,486
სადაზღვეო კომპანიების მიერ გამოწერილი ჯარიმები	324,579	1,155,390
სამედიცინო მოწყობილობების საექსპლუატაციო ხარჯები	199,875	177,455
თეთრეულის რეცხვის მომსახურება	94,224	84,650
საკანცელარიო ხარჯი	58,037	55,981
კარტრიჯების ხარჯი	49,561	46,912
შენობის დაცვა	49,292	3,864
საბანკო ტერმინალების მომსახურება	40,364	31,593
საკონსულტაციო მომსახურება	38,500	38,160
სხვა ხარჯები	164,133	164,435
სულ	2,873,265	2,179,926

8. ფინანსური ხარჯები

	2021	2020
სესხებზე დარიცხული პროცენტი	521,520	488,616
სხვა	5,376	3,000
სულ	526,896	491,616

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება:	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სამედიცინო დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა	ასფალტი	სულ
ბალანსი 1 იანვარი 2020	826,709	72,291	3,155,000	4,523,557	655,669	1,579,976	52,058	10,865,260
შემოსვლები	-	469,633	-	911,157	58,526	58,075	-	1,497,392
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	826,709	541,924	3,155,000	5,434,714	714,195	1,638,051	52,058	12,362,651
შემოსვლები	-	460,162	-	529,066	32,127	260,684	-	1,282,039
გასვლები	-	-	-	(175,065)	(1,386)	(9,835)	-	(186,286)
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	826,709	1,002,086	3,155,000	5,788,715	744,936	1,888,900	52,058	13,458,404
დაგროვილი ცვეთა:								
ბალანსი 1 იანვარი 2020	-	-	(504,998)	(1,299,245)	(423,955)	(1,014,730)	(28,489)	(3,271,417)
წლიური ცვეთა	-	-	(63,273)	(344,463)	(73,807)	(169,440)	(3,471)	(654,454)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	-	-	(568,271)	(1,643,708)	(497,762)	(1,184,170)	(31,960)	(3,925,871)
წლიური ცვეთა	-	-	(63,100)	(363,660)	(73,296)	(153,236)	(3,471)	(656,763)
გასვლები	-	-	-	18,450	1,522	7,924	-	27,896
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	-	-	(631,371)	(1,988,918)	(569,536)	(1,329,482)	(35,431)	(4,554,738)
წმინდა საბალანსო ღირებულება:								
ბალანსი 1 იანვარი 2020	826,709	72,291	2,650,002	3,224,312	231,714	565,246	23,569	7,593,843
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	826,709	541,924	2,586,729	3,791,006	216,433	453,881	20,098	8,436,780
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	826,709	1,002,086	2,523,629	3,799,797	175,400	559,418	16,627	8,903,666

2021, 2020 წლის დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ აღებული საბანკო სესხების უზრუნველყოფას წარმოადგენდა მიწა და შენობა ნაგებობები, თვითღირებულებით 826,709 და 3,155,000 ლარი, შესაბამისად.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
სამედიცინო მარაგები და წამლები*	486,674	561,384	383,747
პაციენტების საკვები	2,185	21,095	-
სულ	488,859	582,479	383,747

*სამედიცინო მარაგები და წამლები მოიცავს: სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების მედიკამენტს; პაციენტების მოვლისათვის საჭირო ინვენტარს; ოპერაციებისათვის განკუთვნილ მასალებს;

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ფინანსური მოთხოვნები:			
საყოველთაო დაზღვევიდან	3,371,805	3,002,755	5,342,921
ფ/პ პაციენტებისაგან	2,059,014	1,841,863	1,407,687
სადაზღვევო კომპანიებიდან	1,165,087	897,319	718,909
სახელმწიფო დაწესებულებებიდან	648,846	179,762	95,899
სამედიცინო დაწესებულებებთან	108,195	130,734	121,387
სხვა მოთხოვნები	388,729	393,584	397,277
გაუფასურების რეზერვი	(2,780,095)	(2,087,893)	(1,825,220)
	4,961,581	4,358,124	6,258,860
არაფინანსური მოთხოვნები:			
გადახდილი ავანსები	1,424,938	320,980	374,522
ავანსების გაუფასურების რეზერვი	(467,697)	(272,877)	(187,054)
	957,241	48,103	187,468
სულ	5,918,822	4,406,227	6,446,328

კოლექტიურად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შეფასებისთვის, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის მიხედვით.

ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი და ჯგუფური გაუფასურება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31 - 90 დღე	91 - 180 დღე	181 - 365 დღე	>365 დღეზე	სულ
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (%)	1.0%	15.0%	25.0%	40.0%	60.0%	100.0%	
ფინანსური მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	65,108	50,177	40,975	84,421	141,377	2,602,743	2,984,801
ანარიცხი	(651)	(7,527)	(10,244)	(33,768)	(84,826)	(2,602,743)	(2,739,759)
სულ	64,457	42,650	30,731	50,653	56,551	-	245,042

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი და ჯგუფური გაუფასურება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31 - 90 დღე	91 - 180 დღე	181 - 365 დღე	>365 დღეზე	სულ
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (%)	1.0%	15.0%	25.0%	40.0%	60.0%	100.0%	
ფინანსური მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	515,505	13,940	118,591	71,052	54,300	1,941,733	2,715,121
ანარიცხი	(5,155)	(2,091)	(29,648)	(28,421)	(32,580)	(1,941,733)	(2,039,628)
სულ	510,350	11,849	88,943	42,631	21,720	-	675,493

ფინანსური მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი და ჯგუფური გაუფასურება 2020 წლის 1 იანვრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე	< 30 დღეზე	31 - 90 დღე	91 - 180 დღე	181 - 365 დღე	>365 დღეზე	სულ
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (%)	1.0%	15.0%	25.0%	40.0%	60.0%	100.0%	
ფინანსური მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	360,290	47,457	19,497	33,682	73,309	1,634,719	2,168,954
ანარიცხი	(3,603)	(7,119)	(4,874)	(13,473)	(43,985)	(1,634,719)	(1,707,773)
სულ	356,687	40,338	14,623	20,209	29,324	-	461,181

ფინანსური მოთხოვნების ინდივიდუალური გაუფასურება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
ინდივიდუალური ფინანსური მოთხოვნები:			
მთლიანი ღირებულება	4,756,875	3,730,896	5,915,126
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(40,336)	(48,265)	(117,447)
სულ	4,716,539	3,682,631	5,797,679

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებულია ქართულ ლარში

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები:	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
სალაროში ლარში	41,507	1,217	9,528
ბანკში ქართულ ლარში	164,687	117,364	12,512
ბანკში უცხოურ ვალუტაში	25	1,211	90,463
სულ	206,219	119,792	112,503

13. მიღებულის სესხები

გამსესხებელი	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საბ. ვალუტა	განაკვეთი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
სს "ლიბერთი ბანკი"	3-5-19	25-7-30	EUR	5.1%	877,636	1,096,869	918,528
სს "ლიბერთი ბანკი"	3-5-19	25-5-28	EUR	5.5%	-	-	6,524,609
სს "ლიბერთი ბანკი"	25-12-19	23-1-23	GEL	14.0%	504,958	460,000	306,305
მფლობელის სესხი	25-5-20	27-5-30	EUR	5.0%	6,137,886	7,688,582	-
სს "ლიბერთი ბანკი"	12-8-2021	12-9-24	GEL	16.5%	191,908	-	-
სს "ლიბერთი ბანკი"	10-9-2021	27-8-31	USD	9.97%	912,514	-	-
					8,624,902	9,245,451	7,749,442

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, მიღებულის სესხების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
გრძელვადიანი ნაწილი	7,315,714	8,054,991	6,905,240
მოკლევადიანი ნაწილი	1,309,188	1,190,460	844,202
სულ	8,624,902	9,245,451	7,749,442

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
მედიკამენტების შეძენიდან	2,497,206	2,263,557	2,660,932
გადასახდელი ხელფასები	1,041,178	944,776	989,440
სავაჭრო ვალდებულებები	466,253	502,605	428,389
სხვა ვალდებულებები	625,121	636,680	821,491
სულ	4,629,758	4,347,618	4,900,252

15. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად, კომპანიამ წარადგინა საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო ვალდებულება 2021, 2020 და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 350,856, 64,916, და 392,312 ლარს, შესაბამისად.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს მშობელ და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი მშობელ საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი

გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი

დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მიღებული სესხები	დამფუძნებელი	6,137,886	7,688,582	-
	ურთიერთობა	2021	2020	
ფინანსური ხარჯები	დამფუძნებელი	378,334	235,697	
პერსონალის ხარჯები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	150,000	150,000	

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულია ანარიცხი.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მოქმედებები არ დასრულებულა. კომპანია ვერ აფასებს აღნიშნული ომის შესაძლო გავლენას კომპანიის საქმიანობაზე.

შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა

მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

თბილისი 2022

სარჩევი

სუბიექტის განვითარების გეგმები.....	1
ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	2
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	3
სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	3
ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ.....	3
გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა	5
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	5
მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება.....	6

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა“ (შემდგომში „კლინიკა“) დაარსდა 2010 წელს, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს (საიდენტიფიკაციო ნომერი 404866123). 2010 წლიდან კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

კომპანიას არ ჰყავს დედაკომპანია და თავის მხრივაც, არ აქვს ინვესტიციები სხვა საწარმოებში.

კლინიკა მომხმარებელს აწვდის როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ სამედიცინო სერვისებს, კერძოდ ესენია:

1. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება;
2. ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება;
3. ნევროლოგია; ინტერვენციული კარდიოლოგია;
4. ოტორინოლარინგოლოგია;
5. ნეიროქირურგია;
6. ზოგადი ქირურგია;
7. ტრავმატოლოგია და ორთოპედია;
8. ყბა-სახის ქირურგია;
9. ანესთეზიოლოგია და რეანიმაცია;
10. ჰემატოლოგია და ტრანსფუზიოლოგია;
11. რადიოლოგია;
12. კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია;
13. ბუძუსა და ენდოკრინული ქირურგია;
14. თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგია.

დაარსების დღიდან კლინიკის გუნდის მთავარი მიზანია, კომფორტულ გარემოში პაციენტებმა მიიღონ მაღალი დონის სამედიცინო სერვისი. პაციენტებზე ორიენტირებული გარემოს სრულყოფისათვის, მუდმივი ზრუნვა კლინიკის განვითარების ტრადიციად იქცა და ყოველ წელს ზრუნავს შენობის რეკონსტრუქციაზე. ამჟამად კლინიკას აქვს 5 ფუნქციური სართული და ეზო. პარკირებისათვის პირველ სართულზე განთავსებულია კაფე, სალექციო დარბაზი, მოსაცდელი ტერიტორია და მიმღები. შენობა აღჭურვილია თანამედროვე სპეციალური სისტემით, ცენტრალიზირებული წყალმომარაგებით, ელექტრო მომარაგების, გათბობისა და კონდიციონერების ცენტრალიზებული სისტემებით და გააჩნია ავტონომიური დენის წყარო. სამედიცინო მოსახურების უწყვეტობის შენარჩუნებისა და პაციენტთა უსაფრთხოების მიზნით, კლინიკას ასევე გააჩნია დენისა და წყალმომარაგების ალტერნატიული და სარეზერვო წყაროები.

კლინიკა თანამშრომლობს წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან, რომლებიც კლინიკას მაღალი ხარისხის ფარმაცევტულ პროდუქციასა და სამედიცინო დანიშნულების საგნებს აწვდიან. კლინიკა აწვდის სამედიცინო სერვისს როგორც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარებს, ასევე წარმოადგენს ყველა ძირითადი სადაზღვევო კომპანიების პროვაიდერს.

კლინიკა სამედიცინო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო პროტოკოლებით; კლინიკის შესაბამის ექიმებს გავლილი აქვთ კანონმდებლობით განსაზღვრული უწყვეტი სამედიცინო განათლების ყველა სავალდებულო მოდული. ექიმებისა და რეზიდენტებისათვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა პროფესიული ინტერნეტ-რესურსები.


კლინიკის მენეჯმენტი და ექიმების გუნდი სისტემატურად მუშაობს პაციენტის მომსახურების გაუმჯობესებასა და შესაბამისად მაღალ რისკთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისების შემცირებაზე.

მიმდინარე წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისას, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში კლინიკა შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით. კლინიკას განზრახული აქვს, გააგრძელოს მუშაობა: ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

კლინიკა ისწრაფვის იყოს ლიდერი კონკურენტულ ბაზარზე, სრულად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები და ამით გაამართლოს მასზე დამყარებული ნდობა. ჩვენი პოლიტიკა ხარისხის სფეროში მიმართულია რესურსების და პროცესების მუდმივი გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ, რათა ავამაღლოთ მომხმარებლის კმაყოფილების დონე.

კომპანია აცნობიერებს, რომ მომხმარებელთა მოთხოვნების ხარისხიანად შესასრულებლათვის საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მოწყობილობები. აქედან გამომდინარე, კლინიკა სისტემატურად ახორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მოწყობილობების შესაძენად.

ორგანიზაციული სტრუქტურა



ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კლინიკა ზემოთ აღწერილ სამედიცინო საქმიანობას ახორციელებს მისამართზე; საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე– საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №29-31-33. მას არ აქვს ფილიალები.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2021 წლის ფინანსური შედეგებით, კომპანია გასულია მოგებაზე, რაც წინა საანგარიშგეპო პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა.

ფინანსური შედეგები:

	2021	2020
ამონაგები	22,985,764	19,640,338
სხვა შემოსავლები	1,431,159	327,491
მარაგების შესყიდვის ხარჯი	(6,468,246)	(5,109,079)
პერსონალის ხარჯები	(11,775,843)	(10,279,912)
ცვთა და ამორტიზაცია	(657,967)	(656,631)
საექვო მოთხოვნების ანარიცხის ცვლილება	(887,022)	(348,496)
სხვა ხარჯები	(2,873,265)	(2,179,926)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	1,111,658	(1,879,889)
ფინანსური ხარჯი	(526,896)	(491,616)
წმინდა მოგება/(ზარალი)	2,339,342	(977,720)

2021 წელს კომპანიამ მფლობელზე გასცა 315,789 ლარის დივიდენდი.

	2021	2020
მიღებული პაციენტი	10,936	12,857
მათ შორის გადაუდებელი	5,053	3,651

2021 წლის განმავლობაში კლინიკამ ჩაატარა 25,661 ამბულატორიული კონსულტაცია, რაც წინა პერიოდის მაჩვენებლის გაუმჯობესებული მაჩვენებელია (24,900).

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კლინიკას არ აქვს გამოშვებული აქციები.

ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ

კლინიკა პერმანენტულად აცნობს კომპანიაში დასაქმებულ პერსონალს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მასალებს, მუდმივი ეკოლოგიური კონტროლის სისტემის უზრუნველსაყოფად.

პერსონალის თითოეული წევრის კომპეტენტურობა განისაზღვრება პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დონით. შრომისუნარიანობის შეფასების შემდეგ ისახება მუშაკთა შესაძლებლობათა ზრდის გეგმა. ხოლო მათი პროფესიული დონის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები რეგულარულად აწყობენ სხვადასხვა სახის ტრენინგებს.

წარმატებები, რომელიც მიღწეულია კლინიკაში მომუშავე გამოცდილი პროფესიული კადრების დამსახურებაა, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განახლებისთვის გადავდგით ნაბიჯი ახალგაზრდებთან მიმართებაში, რომლებიც უკვე წლებია ჩვენთან ერთად საქმიანობენ და თეორიულ ცოდნასთან ერთად იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

2021 წელს კლინიკაში სულ დასაქმებული იყო 564 ადამიანი, მათ შორის ქალბატონი - 401.

კლინიკის წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადგილობრივი რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.


კლინიკა უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კლინიკის მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა.

კლინიკა ითვალისწინებს, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენენ ქვეყნის სამუშაო ძალის სოლიდურ ნაწილს და ქვეყნის მომავალს, რომელთა სასტარტო სამუშაო პირობებზე დიდწილადაა დამოკიდებული მათი შემდგომი განვითარება და კვალიფიციურ პროფესიონალებად ჩამოყალიბება. ზრუნავს ახალგაზრდა თაობის დასაქმებაზე, აცხადებს ვაკანსიებს, ორ თვიანი სტაჟირების და გამოსაცდელი ვადის შემდეგ კი ხდება ახალგაზრდა კადრების შტატში აყვანა.

კლინიკა მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

კლინიკაში შემუშავებული და დამტკიცებულია შინაგანაწესი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულისა და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა. გენერალური დირექტორი საზოგადოების მართვას ახორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.



გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ კლინიკა ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. კლინიკის მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

1. ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
2. რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
3. დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ბიზნეს რისკი - კონკურენტი ორგანიზაციების მიერ კვალიფიციური პერსონალის გადაბირება;

ფინანსური რისკი - საყოველთაო ჯანდაცვის მიერ თანხების დაგვიანებით ანაზღაურება, სახელმწიფოს მხრიდან კორექტირებები, ფიქსირებული ფასები;

გარემოს რისკი - ვალუტის კურსზე დამოკიდებულება.

COVID-19-თან დაკავშირებული

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მაია მახარაშვილი
გენერალური დირექტორი

ნინო შაუთიძე
ფინანსური დირექტორი

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

მ. მახარაშვილი

მაია მახარაშვილი
გენერალური დირექტორი



ნ. შაუთიძე

ნინო შაუთიძე
ფინანსური დირექტორი

